

¤

არ მგონი, ჩემში ცეცხლი რომ დაქრეს,  
შენ ქვეყნის მზერა ისევ გაცინებს.  
ღმერთო, რამდენი ფიქრები გაქრნენ,  
ღმერთო, რამდენი დრო გავაცდინე.

მე ვგმობ ცხოვრების მონას და მორჩილს,  
ჩემი ფიქრები ისევ კივიან.  
ძვირფასო, ახლა ამ მიდამოში  
ყველაზე კარგი ეს ადვილია.

შენ სად მიდიხარ, მე რა ვქნა აწი,  
ეს დღე, ეს ბედი ისევ შენია.  
გარშემო დაჰქრის სურნელი ნაძვის,  
ტყეა, მარტო ვარ და მეშინია.

სდუმან ეს მთები, მეც ვდუმვარ აგრე,  
შენ ქვეყნის მზერა ისევ გაცინებს.  
ღმერთო, რამდენი ფიქრები გაქრნენ,  
ღმერთო, რამდენი დრო გავაცდინე!